მოიცავს თუ არა პროგრამა წყლის მიწოდებას და ჩამდინარე წყლების შეკრებას, გადამუშავებას და ჩაშვებას?

პროგრამა ყოველთვის დააკავშირებს წყლის მიწოდებასა და ჩამდინარე წყლების გაწმენდას. ჩამდინარე წყლების სათანადო გაწმენდის გარეშე უსაფრთხო წყალმომარაგება შეუძლებელია.

ვინ ახორციელებს ექსპლუატაციას და მოვლა-პატრონობას?

დაბებში მოხდება კომუნალური საწარმოების რეორგანიზაცია, მათი პერსონალის გადამზადება, აღჭურვა და მომსახურების გაუმჯობესება. სოფლებში, წყლისა და წყალარინების სისტებების მომხმარებლებს და მომხმარებელთა ჯგუფებს გაეწევათ დახმარება, მიეწოდებათ შესაბამისი აღჭურვილობა და ჩაუტარდებათ ტრენინგები იმისათვის, რომ უზრუნველყონ მიკრო სისტემების ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობა.

ვინ იხდის ექსპლუატაციისა და მოვლის ხარჯებს?

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა დააფინანსებს წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის მნიშვნელოვან ნაწილს. აჭარის დაბებში და სოფლებში ყველა მოქალაქე ასევე მიიღებს ფინანსურ მონაწილეობას, სათანადო სატარიფო სისტემის საშუალებით. ყველა მოქალაქის ფინანსური წვლილის წყალობით, შესაძლებელი იქნება ახალი ინფრასტრუქტურის სათანადო ფუნქციონირება, ელექტროენერგიის ხარჯების გადახდა, ხელფასების ანაზღაურება და მომსახურების მაღალი ხარისხის შენარჩუნება.

როგორ დავრწმუნდეთ პროექტების ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანობაში?

პროექტი შედგენილია მოქალაქეების საჭიროებების შესაბამისად. პროექტის მაღალი ხარისხი განსაზღვრულია საერთაშორისო (ევროკავშირის) და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. პროექტი სრულ შესაბამისობაშია KfW ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებთან. ასევე, სრულ თანხვედრაშია სამუშაოების უსაფრთხოების საერთაშორისო მოთხოვნებთან.

როგორ შემიძლია აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა?

პროგრამა შემუშავებულია აჭარის სოფლად მცხოვრები ყველა დაინტერესებული მოქალაქისთვის. პროგრამაში თანამონაწილეობა დამოკიდებულია ინტერესზე და სოფლის მოქალაქეთა ნებაყოფლობით ჩართვაზე. პროგრამის ბიუჯეტიდან გამომდინარე პირველ ეტაპზე პროექტით განსაზღვრულია აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის სოფლების ნაწილი, თუმცა მოსახლეობის ინტერესის შემთხვევაში შესაძლებელია შემდგომი ფაზების განხორციელება და პროგრამის გაგრძელება. სწორედ ამიტომ, თქვენი ჩართულობა მნიშვნელოვანია, ხოლო მოსაზრებები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით

+995 422 27 86 86

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო

WWW.AWA.GE

პუბლიკაცია მომზადებულია გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის, ევროკავშირის და აჭარის მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის, ევროკავშირის და აჭარის მთავრობის შეხედულებებს.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა



ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

KFW

www.awa.ge

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრებით. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 59,5 მილიონ ევროს.

ვინ ახორციელებს პროგრამას?

პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ (AWA) განახორციელებს, რომელიც მუნიციპალიტეტების და აჭარის მთავრობის მფლობელობაშია. „აჭარის წყლის ალიანსს“ ეხმარება ორი საკონსულტაციო კომპანია, რომელთაგან ერთი მუშაობს დაბების საინვესტიციო პროგრამებზე და მეორე სოფლებში. მეორე კომპანია ასევე უზრუნველყოფს გადასამზადებელ ტრენინგებს „აჭარის წყლის ალიანსის“, აჭარის მუნიციპალიტეტებისა და სოფლის მომხმარებელთა ჯგუფებისთვის. „აჭარის წყლის ალიანსი“ (AWA) ახორციელებს პროექტებს თითოეულ მუნიციპალიტეტში, კონკრეტული მუნიციპალიტეტის შესაბამის სამუშაო ჯგუფთან ერთად.

რა არეალზე ვრცელდება პროგრამა?

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა ვრცელდება აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში, ქალაქების - ბათუმისა და ქობულეთის გარდა.

რას აფინანსებს პროგრამა?

პროგრამას აქვს დაფინანსების ორი მთავარი მიმართულება:

ცენტრალიზებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები დაბებში და დეცენტრალიზებული წყალმომარაგების და წყალარინების სისტემები მაღალმთიან სოფლებში. ცენტრალიზებული სისტემა გულისხმობს დაბის არეალის მომარაგებას ცენტრალიზებული წყლის სისტემით, რომელიც მოიცავს შემდეგს: წყლის სათავე ნაგებობა, წყლის დამუშავება, რეზერვუარები, წყალმომარაგების ქსელი და შესაბამის სახლებთან დაერთებები, რომლებიც აღიჭურვება მრიცხველებით. ნარჩენი წყლების შემკრები ცენტრალიზებული სისტემები, წყალარინების გამწმენდი ნაგებობა და შლამის მართვა.

დეცენტრალიზებული წყალმომარაგება სოფლებში, რაც გულისხმობს მცირე წყალმომარაგების სისტემებს, შესაბამის წყლის სათავეებს ნაკადულებიდან, ჭის, ან ზედაპირულ წყლებს, წყლის დამუშავებას, მცირე რეზერვუარს და შესაბამის სახლის მიერთებებს. მას შემდეგ რაც სისტემა შესაბამისად მიაწვდის წყალს ყოველგვარი წყვეტის გარეშე, მოხდება სისტემაში ჩართული მოქალაქეების გამრიცხველიანება.

სოფლის მაცხოვრებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი წყალარინების სისტემა, რაც გულისხმობს საპირფარეშოებს, საცხოვრებელ სახლებთან მიერთებებს და დეცენტრალიზებულ, (მიკრო) მცირე ზომის წყალარინების გამწმენდ სადგურებს, ან სხვა შესაბამის წყალარინების გამწმენდს და უტილიზაციის ისეთ სისტემებს, როგორიცაა საპირფარეშოების განცალკევება, კომპოსტირება და შლამის გამოყენება ფერმერული საქმიანობისთვის.

რატომ არის სოფლად საპირფარეშოების მოწყობა მნიშვნელოვანი?

სოფლებში საპირფარეშოების სწორად მოწყობა და შლამის სათანადო გადამუშავება საშუალებას მისცემს მოქალაქეებს განავითარონ ეკო-ტურიზმი. სახლებში, ოთახები გადააკეთონ სასტუმრო ოთახებად, დასაქმდნენ და შექმნან ოჯახის დამატებითი შემოსავლის წყარო. ასევე, ჩამდინარე წყლების და ნარჩენების სწორად მართვა თავიდან აგვაცილებს იმ მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბიძურებას, რასაც სავალალო შედეგი შეიძლება მოყვეს. დაცული იქნება აჭარის სოფლების ულამაზესი ბუნება, გაუმჯობესდება სოფლებში ოჯახების ჰიგიენა და ჯანმრთელობა.

როგორ დავრწმუნდეთ, რომ პროექტი აკმაყოფილებს მოქალაქეების საჭიროებებს?

პროგრამა დაფუძნებულია მოქელაქეთა მეტად აქტიურ თანამონაწილეობაზე. მუნიციპალიტეტი აქტიურადაა ჩართული „აჭარის წყლის ალიანსის“ და პროექტის აღმასრულებელი სააგენტოს სამუშაო ჯგუფში. მოქალაქეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ შეკრებებში, დასვას კითხვები, მოითხოვოს ინფორმაცია და ახსნას სოფელთან თუ, ოჯახთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები, რათა დარწმუნდეს, რომ „აჭარის წყლის ალიანსს“ სათანადოდ ესმის მისი საჭიროებები.

ვინ ფლობს პროექტებს?

წარსულში სოფლებში ოჯახებმა თავად მოაწყვეს წყალმომარაგების სისტემა. თუმცა, კუსტარულად მოწყობილ ამ სისტემებს სჭირდება ჩანაცვლება, განახლება ან გაფართოება. პროექტში მონაწილეობით სისტემა გაუმჯობესდება და მორგებული იქნება თანამედროვე სტანდარტებს. პროცესს ორგანიზებას უწევს მუნიციპალიტეტი, მართავს და ანაზღაურებს პროექტის ხარჯებს, მუნიციპალიტეტივე ფლობს მას, ხოლო მოქალაქეები სარგებელს მიიღებენ ახალი პროექტიდან.